ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომის ოქმი № 4

ქ. ლანჩხუთი **17.04.2025 წელი**

11:00 საათი

სხდომას უძღვებოდა: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე **კარლო კვიტაიშვილი.**

სხდომას ესწრებოდა კომისიის წევრები: ვერიკო კვირკველია, ნინო მშვიდობაძე, დარეჯან ბურჭულაძე, ლოლიტა ურუშაძე, ელისო ჭიჭინაძე, კარლო წილოსანი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი **შოთა ჩაგუნავა,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია,** ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მ/შემსრულებელი **პაატა ურუშაძე,** საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში **ლაშა სარჯველაძე,** საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი (იურიდიულ საკითხებში) **რუსუდან გვარჯალაძე,** საკრებულოს აპარატის მეოთხე რანგის პირველი კატეგორიის უმცროსი სპეციალისტი **ნინო ჭანტურიშვილი.**

სხდომის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

3. გამორჩეული სახელმწიფო მოღვაწის ავთანდილ ჯორბენაძის ძეგლის (ქანდაკების) განთავსებასთან დაკავშირებით განსაზღვრული ვადის შემცირების მიზანშეწონილობის განხილვა.
/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

4. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტის მიმართ კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 7; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა **შოთა ჩაგუნავამ** და აღნიშნა, რომ დადგენილია საავტომობილო სამგზავრო გადაყვანის რეფორმის ფარგლებში მუნიციპალიტეტის შემდეგი უფლებამოსილება, კერძოდ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ დასახლებაში ავტოსადგურის არარსებობის შემთხვევაში შესაბამისი ნორმატიული აქტით იმ დასახლებების ჩამონათვალის განსაზღვრა, სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა.

მომხსენებელმა **შოთა ჩაგუნავამ** აგრეთვე აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის თქმით, სოფელ გულიანიდან ქალაქ ბათუმის მიმართულებით რეგულარულად ხდება მგზავრთა გადაყვანა. მისი თქმით, თუ საკრებულო მიიღებს გადაწყვეტილებას, რომ მოხდეს რომელიმე დასახლების დამატება აღნიშნულ პროექტში, ისინი მზად არიან დაკორექტირდეს საკითხი.

კომისიის წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

მომხრე 7; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** და აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსულობებმა 40,602.9 ათ.ლარი შეადგინა გეგმის

100,5 %-ი, აქედან გადასახადების სახით მიღებულია 14,836.5 ათ.ლარი გეგმის 103,6 %-ი, სხვა შემოსავლები მიღებულია 4,452.2 ათ.ლარი რაც გეგმის 100,4 %-ს შეადგენს, მათ შორის-საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია 167,8 ათ.ლარი რაც გეგმის 110,9 %-ს შეადგენს, სანქციები (ჯარიმები და საურავები) 3,409.8 ათ.ლარი რაც გეგმის 98,3 %-ს შეადგენს, გრანტის სახით მიღებულია 20,974.0 ათ.ლარი, აქედან გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან - 20,657.8 ათ.ლარი, საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებულია გრანტი 316.14 ათ.ლარი. საფინანსო წელში გაწეულია20,351.9 ათ.ლარის ხარჯი, მათ შორის შრომის ანაზღაურებაზე მიიმართა 7,689.6 ათ.ლარი, საქონელი და მომსახურების მუხლით ხარჯმა 9,570.3 ათ.ლარი შეადგინა. 2025 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ნაშთი შეადგენდა 3248,8 ათას ლარს, მათ შორის განკარგულებებით გამოყოფილი თანხების ნაშთი შეადგენდა 1399,0 ათას ლარს , საიდანაც მიიმართა 2025 წლის ბიუჯეტში სხვადასხვა პროექტების დასაფინანსებლად, ასევე მიმდინარე ხარჯების დასაფინანსებლად და ინფრასტრუქტურული ობიექტების ნაწილობრივ ან მთლიანად დაფინანსებისთვის გაწერილია 2025 წლის ბიუჯეტში. მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ 43851,7 ათასი ლარი, რაც გეგმური მაჩვენებლის (46893 ათ ლარი) 93,5 %-ია. 2024 წელს მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 7150,6 ათ ლარი შეადგინა, რაც გეგმური მაჩვენებლის (8142,8. ათ ლარი) 87,8 % პროცენტია. აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები:

1. მმართველობითი ხარჯი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა 1300.0 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია 4819,3 ათ ლარი;

2. საერთო დანიშნულების ხარჯი: მუნიციპალიტეტის ვალდებულების მომსახურება და დაფარვა -69.4 , ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა -961,9 ათ ლარი. სარეზერვო ფონდიდან 2024 წელს გახარჯულია მერის ბრძანების საფუძველზე 47200 ლარი ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 20944,6 ათასი ლარით, რაც გეგმის (22454,7 ათ ლარი) 93,2 პროცენტია. დასუფთავების და გარემოს დაცვა საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 2453,4 ათასი ლარით, რაც გეგმის 98,5 პროცენტია. გამოყოფილი სახსრებიდან 2160.7 ათასი ლარი მოხმარდა მუნიციპალიტეტის დასუფთავებას და ნარჩენების გატანას, მწვანე ნარგავების მოვლა - პატრონობა და განვითარებაზე დაიხარჯა 272.7 ათასი. უპატრონო ცხოველების მოვლითი ღონისძიებებზე გაიხარჯა 20.0 ათ ლარი. საგანმანათლებლო ღონისძიებებზე 2024 წელს 5766,6 ათასი ლარის ოდენობით, რაც გეგმის - 97,2 პროცენტია. აღნიშნული თანხებიდან სკოლამდელი აღზრდის დაფინანსებაზე მიმართული იქნა 4162,9 ათასი ლარი, საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირების დაფინანსებაზე დაიხარჯა 1558,5 ათასი ლარი რაც გეგმის 94,4 %-ია. სპორტულ, ახალგაზრდულ და კულტურულ ღონისძიებებზე გაწეული იქნა 6104.4 ათასი ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 6316.8 ათასი ლარისა, ანუ გეგმის 96.6 პროცენტი. აღნიშნულის სახსრებიდან სპორტის განვითარებას მოხმარდა 3598.7 ათასი ლარი, კულტურის განვითარებას - 2485.6 ათასი ლარი, ახალგაზრდობის მხარდაჭერაზე - 20.1 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები დაფინანსდა 1432.1 ათასი ლარით 92.2 %-ით, მათ შორის საზოგადოებრივი ჯანდაცვის დაფინანსებას მოხმარდა 297.3 ათასი ლარი, ხოლო სოციალურ დაცვას - 1134.7 ათასი ლარი. აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამის ბიუჯეტია 154 100 ლარი, პროგრამის მოსარგებლეები არიან დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით განვითარების ზოგადი აშლილობის ჯგუფის (84.0 დან F84.9-ის) დიაგნოზის მქონე 2-დან 18 წლის ასაკის ჩათვლით, ასევე, პროგრამის მოსარგებლეები არიან (R62.0) წლამდე განვითარების ეტაპების დაყოვნება დიაგნოზის მქონე 0-დან 2 წლამდე საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ამავდროულად, ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის არიან ლანჩხუთის

მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული. მუნიციპალიტეტი დააფინანსებს აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსს სერვისის მომწოდებელი ორგანიზაციის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მიხედვით, მაგრამ არაუმეტეს თვეში 500 (ხუთასი) ლარისა. პროგრამიდან გახარჯულია 152 500 ლარი. პროგრამით ისარგებლა 39 ბენეფიციარმა. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით მუნიციპალიტეტი ნაყოფიერად თანამშრომლობს მუნიციპალური განვითარების ფონდთან, რომლის ფარგლებშიც მუნიციპალური განვითარების ფონდის სესხით განხორციელდა ნაგვის ურნების შეძენა. ასევე, მუნიციპალიტეტს გადმოეცა ნაგავმზიდი მანქანები. პროგრამის ფარგლებში ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას. დასუფთავების ღონისძიებები ხორციელდება ქალაქ ლანჩხუთის ქუჩებსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე, ასევე, 15 ადმინისტრაციულ ერთეულის ცენტრებიდან. ქვეპროგრამის ფარგლებში ექვსი თვის გეგმა შეადგენს -2194700 ლარს, საიდანაც გახარჯულია -2161592 ლარი. გარე განათების ქსელის ექსპლუატაციის ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრი ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული გარე განათების ქსელის გამართული ფუნქციონირება, მისი პერიოდული შეკეთება. დღეის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გარე განათების ქსელი ფუნქციონირებს ქ. ლანჩხუთში, ასევე 15 ადმინისტრაციულ ერთეულში. გარე განათების ქსელით მოცულია დასახლებული ტერიტორიების 75%. (დასახლებულ პუნქტში). ქვეპროგრამის ფარგლებში ექვსი თვის გეგმა შეადგენს 291100 ლარს, საიდანაც გახარჯულია 266883 ლარი. მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარების ქვეპროგრამის ფარგლებში ექვსი თვის გეგმა შეადგენს 277100 ლარს, საიდანაც გახარჯულია 272666 ლარი. წყლის სისტემის ექსპლუატაციის ქვეპროგრამის ფარგლებში ექვსი თვის გეგმა შეადგენს -185300 ლარს, საიდანაც გახარჯულია -171929 ლარი. მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარების ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრს გადმოეცა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შეძენილი 5 ავტობუსი მარკა ISUZU NOVOCITI BUS, რომლებიც იმოძრავებს ლანჩხუთის სოფლების მიმართულებით: 2 ერთეული ეწერი-ქვიანი, 1 ერთეული ლანჩხუთი-აცანა- მამათი, 1 ერთეული ლანჩხუთი-ჩოჩხათი, 1 ერთეული ლანჩხუთი-გრიგოლეთი-წყალწმინდა. მუნიციპალიტეტის მიერ იჯარით არის გაცემული ე.წ. სატრანსპორტო ხაზი, რომელზეც ქ.ლანჩხუთიდან სოფლებთან დამაკავშირებელი კერძო ტრანსპორტი გადაადგილდება ლანჩხუთი-აკეთი, ლანჩხუთი-ჯურუყვეთი-ნინოშვილი, ლანჩხუთი-სუფსა-ჩოჩხათი, ლანჩხუთი-არჩეული-მოედნის მიმართულებით. 5 ავტობუსის მგზავრთა გადაადგილების თანხას და სატრანსპორტო ხაზის ფლობის საიჯარო ქირას კერძო სატრანსპორტო კომპანიები რიცხავენ ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის ანგარიშზე. ბიუჯეტიდან ქვეპროგრამის ფარგლებში გამოყოფილი ასიგნებები ხმარდება 20 საშტატო ერთეულს სახელფასო ფონდის დაფინანსებისთვის. ქვეპროგრამის ფარგლებში ექვსი თვის გეგმა შეადგენს - 307500 ლარს, საიდანაც გახარჯულია - 231974 ლარი. ა (ა) იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტულ ცენტრის მიზანია ხელი შეუწყოს წლამდე მოზარდების ფსიქოლოგიური სოციალურ ემოციური შესაძლებლობების განვითარებას მოსწავლის ფიზიკური აქტივობის განვითარებას. ქვეპროგრამის ფარგლებში 2024 წლის გეგმა სულ შეადგენს 723 500 ლარს, საიდანაც გახარჯულია718 846 ლარი. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის მიზანია სკოლამდელ დაწესებულებებში უზრუნველყოს თითოეული ბავშვის მრავალმხრივი განვითარება თამაშზე დაფუძნებული და ბავშვზე ორიენტირებული მიდგომით,სკოლამდელ დაწესებულებაში მზრუნველი და მასტიმულირებელი გარემოს შექმნა პერსონალის

კომპეტენციების ამაღლებით და ოჯახებთან მჭიდრო თანამშრომლობით. 2024 წლისათვის 16 ტერიტორიულ ერთეულში ფუნქციონირებს 19 საბავშვო ბაღი, რომელშიც ირიცხება 750 აღსაზრდელი. ქვეპროგრამის ფარგლებში სკოლამდელი სააღმზრდელო ცენტრის წლის გეგმა შეადგენდა 4233046 (ოთხი მილიონ ორას ოცდაცამეტი ათას ორმოცდაექვსი) ლარს, საიდანაც გახარჯულია 4162898 (ოთხი მილიონ ას სამოცდაორიათას რვაასოთხმოცდათვრამეტი)ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლა ახორციელებს მოზარდების ჩართულობას ფეხბურთში, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებასა და მუნიციპალიტეტის წარმოჩენას ფეხბურთში ქვეყნის მასშტაბით. სკოლა შეუფერხებლად და უფასოდ იღებს ნებისმიერ მსურველ მოზარდს შესაბამის ასაკობრივ ჯგუფში, სადაც უტარდებათ რეგულარული ვარჯიშები. ქვეპროგრამის ფარგლებში ცხრა თვის გეგმა შეადგენს 390080 ლარს, საიდანაც გახარჯულია 344205 ლარი. ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანება ახორციელებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი 4 კულტურის სახლის, 4 მუნიციპალური მუზეუმის, 18 ბიბლიოთეკის და ეგ.ნინოშვილის სახელობის სახალხო თეატრის ფუნქციონერებისა და განვითარების ხელშეწყობას. ქვეპროგრამის ფარგლებში გახარჯული 1409607 ლარი. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო სკოლათა გაერთიანება არის შემოქმედებითი საგანმანათლებლო -სააღმზრდელო დაწესებულება, რომლის ძირითადი მიზნები და ამოცანებია პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარებისა და კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის შესაბამისი პირობების შექმნა, სახელოვნებო სკოლათა გაერთიანებაში შემავალი სკოლების მოსწავლეებისათვის ეროვნული, კულტურული მემკვიდრეობის, ქართული და მსოფლიო ხელოვნების ნიმუშების გაცნობა და შეყვარება, კულტურული ღონისძიებების ჩატარება მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე, ფასიანი საქველმოქმედო ღონისძიებების მოწყობა, მონაწილეობის მიღება ფესტივალებში, კონკურსებში, ფორუმებში, სხვადასხვა გამოფენებში როგორც საქართველოში, ისევე საზღვარგარეთ. ქვეპროგრამის ფარგლებში 2024 წელს სახელოვნებო სკოლათა გაერთიანება დაფინანსდა - 540900 ლარით. შპს. ,,ტურიზმისა და სოფლის მეურნეობის ხელშეწყობის ცენტრი''-ს მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, 2024 წლის მანძილზე აქტიურ მუშაობას ეწეოდა როგორც ტურიზმის, ასევე, სოფლის მეურნეობის მიმართულებით. 2024 წლის ცენტრის ბიუჯეტი წარმოადგენდა 228976 ლარს (მ.შ წინა წლის ნაშთი 21676 ლარი, ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება 207300 ლარი), ცენტრში შტატით მომუშავეთა რიცხოვნობა შეადგენდა 14 ადამიანს, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 3 ადამიანს. სულ 2024 წლის ხარჯებმა შეადგინა 199771 ლარი.

კომისიის წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

მომხრე 7; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: გამორჩეული სახელმწიფო მოღვაწის ავთანდილ ჯორბენაძის ძეგლის (ქანდაკების) განთავსებასთან დაკავშირებით განსაზღვრული ვადის შემცირების მიზანშეწონილობის შესახებ ისაუბრა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ

კარლო კვიტაიშვილმა და აღნიშნა, რომ აღნიშნულ საკითხში კონკრეტულად არ განიხილება ავთანდილ ჯორბენაძის ძეგლის განთავსების ადგილმდებარეობის განსაზღვრა, არამედ, განსაზღვრული ვადის შემცირების მიზანშეწონილობა. საკითხის შესახებ მან თავის მხრივ აღნიშნა, რომ განსაზღვრული ვადის შემცირებაზე ის არის თანახმა, ხოლო ადგილმდებარეობის განსაზღვრის შესახებ კომისიამ კიდევ გააგრძელოს მსჯელობა.

კომისიის წევრების მიერ საკითხთან დაკავშირებით გამოითქვა შენიშვნები და წინადადებები.

კომისიის წევრმა დარეჯან ბურჭულაძემ აღნიშნა, რომ დროს უნდა გაუძლოს ყველაფერმა და მისი აზრით, მთავრობის დადგენილება უნდა დარჩეს ისე, როგორც არის, რადგანაც ამ დოკუმენტზე თავის დროზე იმუშავეს ექსპერტებმმა და სპეციალისტებმა. აქედან გამომდინარე 20 წელი არის ყველაზე გონივრული ვადა, ხოლო გამონაკლის შემთხვევაში 5 წელი მაინც უნდა იყოს გარდაცვალებიდან გასული. სწორედ ამიტომ, ის არ უჭერს მხარს აღნიშნულ საკითხს ვადის შემცირების შესახებ. მას ძალიან წყდება გული, რომ მთელი კვირის განმავლობაში საკამათო და განხილვის საგნად იქცა გარდაცვლილი კარგი ადამიანის სახელი, ვისაც პირადად იცნობდა და აფასებდა.

ელისო ჭიჭინაძის აზრით, გამორჩეული ადამიანები, ვისაც ნამდვილად ეკუთვნით ძეგლის დადგმა და სახელმწიფო ბიუჯეტიდან ვერ ხდება მათი დაფინანსება, რჩებიან ჩრდილში. მისი აზრით, ავთანდილ ჯორბენაძის ძეგლი უნდა დაიდგას არა ლანჩხუთში, არამედ მის მშობლიურ სოფელ ჩიბათში.

ვერიკო კვირკველიამ აღნიშნა, რომ მხარს უჭერს განსაზღვრული ვადის შემცირებას, ხოლო ქანდაკების განთავსებასთან დაკავშირებით კიდევ გაგრძელდეს მსჯელობა.

კარლო წილოსანმა აღნიშნა, რომ განსაზღვრული ვადის შემცირებას უჭერს მხარს, ხოლო შეთავაზებულ ლოკაციაზე ეწინააღმდეგება ძეგლის განთავსებას.

ნინო მშვიდობაძემ აღნიშნა, რომ მხარს უჭერს განსაზღვრული ვადის შემცირებას, მაგრამ ძეგლის განთავსების წინააღმდეგია მითითებულ ადგილზე.

ლოლიტა ურუშაძის აზრით, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები დგანან ამ საკითხის უკან და მათი კლანი ჯერ კიდევ ძლიერია. ის ამბობს, რომ ვერ ივლის მათ ჭკუაზე და ეწინააღმდეგება როგორც განსაზღვრული ვადის შემცირებას, ასევე ძეგლის განთავსებას ქალაქ ლანჩხუთში.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

მომხრე 5; წინააღმდეგი 2.

სხვადასხვა საკითხები.

კომისიის თავმჯდომარემ, კარლო კვიტაიშვილმა აღნიშნა, რომ კვირკველიას ქ. N 18-ში არსებულ კორპუსს ააქვს არადამაკმაყოფილებელი დასკვნა სამხარაულის ექსპერტიზისგან, რაც ვიზუალური დათვალიერებითაც ჩანს. კორპუსის მოსახლეობა ითხოვს დროულად მოხდეს ავარიული სახლის გამაგრება და ასევე კორპუსის საძირკვლიდან მოხდეს წყლის დრენაჟირება. კომისიის თავმჯდომარემ აგრეთვე აღნიშნა, რომ გამაგრება უნდა მოხდეს თანადაფინანსებით, რაც საკმაოდ დიდ თანხებთანაა დაკავშირებული და შეადგენს დაახლოებით 300000 ლარს და აქედან მოსახლეობის გადასახდელი თანხა შეადგენს 100000 ლარს, რაც ფაქტობრივად შეუძლებელია. მისი თქმით, მსგავს სიტუაციაში ქალაქში კიდევ 6 კორპუსია.

დარეჯან ბურჭულაძემ აღნიშნა, რომ თავისუფლების ქუჩაზე ცხაური არის ჩავარდნილი და საჭიროებს შეკეთებას.

ელისო ჭიჭინაძე დაინტერესდა, როდის დაიწყება ჯურუყვეთის სკოლის მშენებლობა. ასევე, მან აღნიშნა, რომ სოფელ ლესაში წყლის სათავე ნაგებობა არის ძალიან დაზიანებული და ეს პრობლემა არის მოსაწესრიგებელი.

ლოლიტა ურუშაძემ აღნიშნა, რომ ნიგოითის საჯარო სკოლაში 1 წელია ფუნდამენტი ამოღებულია. მას აინტერესებს, როდის დაიწყება მშენებლობა და რატომ მოხდა ამხელა შეფერხება. ასევე, მან აღნიშნა, რომ კუპრეიშვილის ქუჩაზე ცხაური არაერთხელ შეაკეთეს, მაგრამ ისევ დაზიანებულია და საჭიროებს კაპიტალურად შეკეთებას.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა

და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე: **/კარლო კვიტაიშვილი/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისია

2800 ლანჩხუთი, კოსტავას 37 0 494 22 30 19

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის №4 სხდომის დასკვნა

ქ. ლანჩხუთი **17.04.2025 წ.**

2025 წლის 17 აპრილს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის გასვლა“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

3. გამორჩეული სახელმწიფო მოღვაწის ავთანდილ ჯორბენაძის ძეგლის (ქანდაკების) განთავსებასთან დაკავშირებით განსაზღვრული ვადის შემცირების მიზანშეწონილობის განხილვა.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლების განსაზღვრის შესახებ, სადაც არ არის ავტოსადგური, საიდანაც ხორციელდება საქალაქთაშორისო რეგულარული სამგზავრო გადაყვანა და სადაც სავალდებულო არ არის ავტოსადგურიდან რეისის

გასვლა“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

მომხრე 7; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის დამტკიცების შესახებ” ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

მომხრე 7; წინააღმდეგი არც ერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: გამორჩეული სახელმწიფო მოღვაწის ავთანდილ ჯორბენაძის ძეგლის (ქანდაკების) განთავსებასთან დაკავშირებით განსაზღვრული ვადის შემცირების მიზანშეწონილობის შესახებ საკითხი მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

მომხრე 5; წინააღმდეგი 2.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა
და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე: **/კარლო კვიტაიშვილი/**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის წევრები

სარეგისტრაციო ფურცელი

17.04.2025 წელი
11:00 საათი

1. კარლო კვიტაიშვილი	10⁵⁵	
2. ნინო მშვიდობაძე	10:18	
3. დარეჯან ბურჭულაძე	10⁵⁵	
4. ლოლიტა ურუშაძე	10⁵⁵	
5. კარლო წილოსანი	10⁵⁹	
6. მაკა მშვიდობაძე	არ ესწრებოდა	
7. გოჩა ჯანაშია	არ ესწრებოდა	
8. რევაზ კვერენჩხილაძე	არ ესწრებოდა	
9. ელისო ჭიჭინაძე	10⁵⁵	
10. ვერიკო კვირკველია	10⁵⁹.	